ცნობის ფურცელი

№ 1878 პარასკევი, 26 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1878

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ჯაიქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჯევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—44)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ ზედგინიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ვ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—8 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილი სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ცურიაშვილი,
საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ბორჯომში
ექიმი ვ. ლამბაშიძე
იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.
ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბებია
ე. მ. ლიმონი
ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—25)

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ ქალაქ ლიდსის ჩრდილო უბანში ლიბერალთა კანდიდატმა გაიმარჯვა. ამ უბნის წარმომადგენლად დეპუტატთა პალატაში დღემდის ჯაკსონი იყო. მაგრამ რადგან მას პირობა მისცეს და ზედა პალატაში გადაიყვანეს, ამიტომ მისი უბანი უწარმომადგენლოდ დარჩა. 1886 წლიდან ლიდსი მუდამ ჯაკსონს ირჩევდა დეპუტატად და მისი კენჭის რაოდენობა თანდათან მატულობდა. 1886 წ. მხოლოდ 619 კენჭით აჯობა თავის მოპირდაპირე ლიბერალს, 1900-ში კი 2,517 კენჭით მეტი ამოუვიდა. ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ ეს უბანი სამუდამოდ კონსერვატორებისაკენ იქნებოდა, მაგრამ უკანასკნელმა არჩევნებმა სულ წინააღმდეგი გვიჩვენეს: წინანდელი კონსერვატიული უმრავლესობა უმცირესობად გადაიქცა და ლიბერალთა კანდიდატმა საულარდ ბარრანმა 7,539 ხმა მიიღო, მისმა მოპირდაპირე კონსერვატორმა ლაუსონმა კი—6,781 ხმა, ასე, რომ ლიბერალების უმრავლესობა 758 ხმით გამოიხატება.

ამ გამარჯვებამ დიდი სიხარული გამოიწვია ლიბერალურ პარტიაში, რადგან ინგლისელი ამომრჩეველი საკმაოდ გაგებულია და კარგად ესმის ვის აძლევს თავის ხმას. ასეთ ცვლილებას ლიბერალები იმითი ხსნიან, რომ დღევანდელი კონსერვატორების პოლიტიკა არ მოსწონს ამომრჩეველს: შემოტანილ პურზე ბაჟის დადებამ და მეტადრე სასკოლო ბილლის კლერიკალურმა ტენდენციამ გული აუყარა ამომრჩევლებს კონსერვატორებზე. მართლაც, ამომრჩეველთა უმთავრესი ყურადღება სასკოლო ბილლზე იყო მიქცეული და ამან დიდი გავლენა იქონია არჩევნების ბედზე. ყველა კორრესპონდენტებმა აღნიშნეს ეს გავლენა. უნიონისტები ცდილობენ დაამცირონ ამ არჩევნების მნიშვნელობა და ლიბერალ კანდიდატის გამარჯვებას მითი ხსნიან, რომ იგი პირადად იყო კარგად ცნობილი. „ტაიმს“-ი ამის შესახებ ამბობს: „მთავრობა კარგად მოიქცევა, თუ თავს არ დაიმშვიდებს იმ ფიქრით, რომ საქმე მხოლოდ კანდიდატების პირადი ღირსებაა. ერთი მხრივ,—თუმცა ძნელი სათქმელია რა ხარისხარმდე,—არჩევნების შედეგს ისე უნდა ვუყურებდეთ, როგორც გაფრთხილებას, რომ მთავრობა კი არ უნდა ასუსტებდეს, უნდა გაარკვიოს თავისი ლონე, რათა დააკმაყოფილოს ხალხის სურვილი და მისი საჭიროება. ეჭვს გარეშეა, რომ სახალხო განათლების ბილლმა, რომელსაც დაჟინებით სცდილობდნენ ცუდი მხარით გაეცნობებინათ ხალხისთვის და რომელიც კარგად არ ესმით, დღეს უფრო გააძნელა ის დაბრკოლებანი, რომელთ წინააღმდეგ იბრძვიან უნიონისტების კანდიდატები.

„დეილი ნიუზ“-ი თავის მეთაურში ასე განმარტავს ლიდსის არჩევნებს: „ომი დასრულდა. წავიდა ის დრო, როდესაც კანდიდატებს შეეძლოთ საარჩევნო უბნებში „ხაკის“ ტანისამოსით სიარული („ხაკი“ არის დარიჩინის ფერი. ინგლისის ჯარს ამფერი ტანისამოსი ეცვა ტრანსვაალში) და ახლად ამომრჩევლების დაშინება. ძლივს მოვრჩით უზნეო ყვირილს: „ვინც ლიბერალებს მისცემს ხმას, ის ბერების მომხრეაო“. ხაკმა ადგილი დაუთმო ანაფორას, მაგრამ შედეგად შიშის მაგიერ განრისხებას ვხედავთ. ინგლისელ ამომრჩეველს არ უყვარს კლერიკალიზმი; იგი მხარს დაუჭერს სამღვდელოებას იქ, სადაც მისი შესაფერი ადგილია, მაგრამ სკოლაში მას უნდა მასწავლებელი. ლიდსის და ბიურის არჩევნების შედეგი ამას მოწმობს. თუ მთავრობას საკმაოდ არ მიაჩნია ეს განაჩენი, დასცალოს კიდევ რამდენიმე დეპუტატის ადგილი დიდ ქალაქებში, რომლების შესახებ ყოველთვის ისე ლაპარაკობს როგორც თავის სიმაგრეებზე. დიდ ქალაქებში არ შეელევიან თავის სასკოლო კომიტეტებს. ნონკონფორმისტებს, სულ ერთია, ლიბერალები არიან თუ კონსერვატორები, სრულიადაც არა ჰსურთ, ფული იხადონ სახელმწიფო სარწმუნოების სწავლაში, რომელსაც ისინი არ აღიარებენ. პირველ მინისტრს, რომელსაც გარს ახვევია ანგლიკანის (სარწმუნოებაა) ნათესაობა, დიაღ შეუძლია დასცინოს დეპუტატთა პალატაში, მაგრამ საარჩევნო კოლლეგიებში მათ იციან, როგორ პასუხსაც გასცემენ, და ამ პასუხს ისე გამოსთქვამენ, რომ მისი აზრი ცხადი იქნება სხვა ქალაქების კონსერვატიულ დეპუტატებისთვის“.

ლიდსის არჩევნების მნიშვნელობა მას აქეთ უფრო იზრდება, რაც დეპუტატებმა, ვასონმა, უნიონისტმა, გამოაცხადა, ლიბერალურ ოპპოზიციაში გადავდივარ, რადგან მთავრობის პოლიტიკა ირლანდიის შესახებ, ისე როგორც სახალხო განათლების და სამხედრო რეფორმის კითხვებში დამღუპველად მიმაჩნიაო.

საფრანგეთი. ამას წინად ზოგიერთ ალაგს დამატებითი არჩევნები მოხდა, რომელმაც

ფელეტონი

—

მეღვინეობა და მევენახეობა ჩვენში

V *)

გურია-სამეგრელო

ვინ არ იცის, რომ გურია-სამეგრელო მეღვინეობით პირველი იყო მთელს ქუთაისის გუბერნიაში? მაგრამ დრონი და გარემოებანი იცვალნენ და შეიცვალა მეღვინეობის მდგომარეობაც. გურია-სამეგრელოს სახელ-განთქმული ღვინოები მოისპო და ისტორიული გადმოცემა-ღა დაგვრჩა ამ ღვინოებისა. ჩვენის აზრით, გურია-სამეგრელოს მეღვინეობას ბრწყინვალე მომავალი მოელის. გურული და მეგრელი, ცუდ პირობების მიუხედავად, ჯერაც არ განშორებია ვაზს, იგი ჰსცდილობს დაკარგულ სახელის და შემოსავლიან წყაროს დაბრუნებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ-ჯერობით ცოტა რამ გაკეთდა.

ფილოქსერასთან საბრძოლველი პირობანი აქ უფრო კარგია, ვიდრე სხვაგან სადმე. ამას გარდა ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახი კარგად ხარობს, რასაც გვიმტკიცებს პრინცესსა მიურატის მამული სამეგრელოში და ერმილე ნაკაშიძისა და ძმ. შარაშიძეების გურიაში. ადგილობრივ ჯიშის მოსპობის შემდეგ გურია-სამეგრელოში გავრცელდა ეგრედ-წოდებული ოდესსა (იზაბელა), რომელიც თუმცა კარგ ხარისხის ღვინოს არ იძლევა, მაგრამ მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაინც აკმაყოფილებს.

გურია-სამეგრელოში ვენახს გვარიანი ადგილი უჭირავს (თითქმის სულ მაღლარია). სენაკის მაზრაში მაღლარს უჭირავს 5,110 დეს., დაბლარს—285 დეს. ზუგდიდის მაზრაში მაღლარს—7,390 დეს., დაბლარს—54 დეს. ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) მაღლარს—6,180 დეს., დაბლარს—28. მთლად გურია-სამეგრელოში 19,047 დეს. ვენახია [1]).

გურია-სამეგრელოში თამამად შეგვიძლიან ერთის დესეტინის მოსავალი 100 ვედრო ჩავაგდოთ, რადგანაც ხშირად 200-ზე მეტსაც იძლევა ხოლმე. მთელის წლის მოსავალი გურია-სამეგრელოში ამ რიგად 1,904,700 ვედროს შეადგენს, აქედან გურიას ჰხვდება 618,000 ვედრო და სამეგრელოს 1,250,000 ვედრო [2]). უმეტესად გურიაშიაც და სამეგრელოშიაც იზაბელას ვაზის ღვინოა, რომელიც, როგორცა ვსთქვით, ცუდის ღირსებისაა. ერთი ვედრო იზაბ. ღვინო რომ 40 კ. ვიანგარიშოთ [3]), მთელის მოსავლის ფასი 761,880 მანეთი იქნება.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ თუ ჩვენში სპეციალური ცოდნა გავრცელდა, ვაზის კულტურაც უკეთეს პირობებში ჩადგა და მეღვინეობის ტეხნიკა გაუმჯობესდა, გურია-სამეგრელო დიდის ნაბიჯით გასწევს წინ და, ვინ იცის, იქნებ გაუსწროს კიდეც ზოგს ისეთ ადგილს, სადაც მეღვინეობას მისდევენ. მით უფრო საფიქრებელია ეს, რომ შავი ზღვა ადვილად მოუპოვებს ბაზარს გურია-სამეგრელოს.

VI

სოხუმისა, ბათუმისა და ართვინის ოლქები.

მეღვინეობას ამ ოლქებში ჯერ-ჯერობით ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, თუ გავრცელდა, დიდად სასარგებლო იქნება მცხოვრებთათვის; შავი ზღვა ამ ოლქებს, როგორც გურია-სამეგრელოს, ადვილად მოუპოვებს ბაზარს. დღესაც-კი მოიპოვება იქ ისეთი ადგილები, სადაც მეღვინეობას ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ასეთია, მაგ., გუდაუთი და კოდორი.

სოხუმის ნაწილში მოდის 500,000 ფუთი ღვინო, აქედან 30,000 ფუთი გააქვთ ოდესას, ნოვოროსიასა და სხვაგან, დანარჩენი ადგილობრივ იხარჯება.

ბათუმისა და ართვინის რაიონებში მოდის 90,000 ფუთი ყურძენი, [4]) უმეტეს ნაწილად მოსავალი ყურძნად იყიდება ბათუმში ფუთი 1—1 მ. 50 კაპეიკად. ფუთი ყურძენი და ღვინო რომ თითო მანეთად ვიანგარიშოთ, ბათუმისა, ართვინისა და სოხუმის რაიონების მოსავალი 590,000 მანეთს შეადგენს.

ახლა გამოვიანგარიშოთ რამდენი ღვინო მოდის და რამდენადა ღირს ის ღვინო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. რომ შევაერთოთ ყველა ეს ციფირი, რაც ზემოდ აღვნიშნეთ, ორისავე გუბერნიის მოსავალი 10,138,925 ვედროს შეადგენს, ხოლო ფულად 13,432,035 მანეთს. მევენახობა რომ

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1872.

[1]) იხ. „Сбор. св. по виноград. и винод. на Кавк.“ 96 წლ. IV, გვ. 60; „Очеркъ виногр. и винод. въ Гуріи и Мингреліи“, თავ. ერმილე ნაკაშიძისა.

[2]) იხ. იქვე, მე-115 გვერდზე.

[3]) იხ. იქვე, მე-116 გვერდზე.

[4]) იხ. „Сборн. св. по виногр. и вин.“, IV, გვერდ. 187 და 189.

დაამტკიცა, რომ კლერიკალების წინააღმდეგ გაჩაღებული ომი სრულიად შეუმჩნეველი რჩება უმეტესობისათვის ან არა და უფრო თანაგრძნობას აღვიძებს დემოკრატიულ მთავრობისადმი. მონბრიზონში გარდაცვალებულ რადიკალ დეპუტატის შარლ დორიანის მაგიერ, დიდი უმრავლესობით ამოირჩიეს მისი ძმა დანიელ, რომელიც იმავე პროგრამით გამოვიდა ამომრჩეველთა წინაშე. მისი მოპირდაპირე კლერიკალი იყო. აგრეთვე საქალაქო დამატებით არჩევნებზე ბეზულში ხუთმა რესპუბლიკელმა დაამარცხა ნაციონალისტების კანდიდატები. კრეპში მთელი მუნიციპალიტეტი რადიკალებისგან შესდგება. მარსელში რესპუბლიკელებმა და სოციალისტებმა გაიმარჯვეს; მათ 3,000 ხმა მოუვიდათ მეტი.

ბოლგარია. სულთანის ირადეს, რომელიც მაკედონიაში სამოსამართლო და საადმინისტრაციო რეფორმებს ჰპირდებოდა, ყველამ უნდო თვალით შეხედა. კარაველოვი ამბობს თავის გაზეთში, რომ ამ გვარი ირადეები ყოველთვის აუსრულებელი რჩებაო, რადგან ოსმალეთში ისეთი წეს-წყობილებაა, რომ სულთანს ძალიანაც რომ ჰსურდეს, მაინც ვერაფერ რეფორმას ვერ მოახდენსო. „ამ შემთხვევაში კი,—ამბობს გაზეთი,—საწყენი ის კი არ არის, რომ სულთანმა ისეთი ირადე გამოსცა, რომელსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, არამედ ის, რომ ევროპის ელჩები კონსტანტინეპოლში ისეთ მოთხოვნილებებს უდგენენ სულთანს, რომელნიც სრულებით ვერაფერ შელავათს ვერ მისცემენ დატანჯულ ქრისტიანებს, მეტადრე ბოლგარელებსო. რეფორმების მაგიერ, რომელთ ასრულების უნარი არ გააჩნიათ ოსმალებს, სულთანის წყალობა რომ გამოეცხადებინათ იმ უბედურ ბოლგარელთათვის, რომელნიც ყოვლად უდანაშაულოდ ათასობით იტანჯებიან საპყრობილეში და ციხეებში, მაშინ კიდევ ვიწამებდით თუ საზოგადოდ ყველა ქრისტიანების ხვედრის გაუმჯობესებას არა, იმას მაინც, რომ ოსმალეთის მთავრობას შეუძლია წყალობით შეამსუბუქოს სიმკაცრე ოსმალეთის ტირანისა. ვიდრე ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელნიც ჰფიქრობენ მფარველობა გაუწიონ ოსმალელ ქრისტიანებს, თავს არ დაანებებენ ცარიელ მოთხოვნილების წარდგენას, ვიდრე არ გადასწყვეტენ თავის საკუთარ ღონით მოახდინონ ძირეული რეფორმები ოსმალეთში, მანამდე სჯობს, სრულებით არ ჩაერიონდნენ ოსმალეთის საქმეებში: თავისი უნაყოფო ჩარევით ისინი მხოლოდ ამწვავებენ მაჰმადიანთა ფანატიზმს“.

ახალი ამბავი

◆ 24 ივლისს, საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა ტფ. ქალაქის გამგეობისგან წარდგენილი **ამომრჩეველთა უკანასკნელი სიები**. ცოტაოდენის ცვლილებით, სიები კრებამ დაამტკიცა. ამ დღეებში სიებს დაუბრუნებენ ქალაქის გამგეობას, რომელმაც ადგილობრივს გაზეთში უნდა გამოაცხადოს ეს სიები; შემოდგომის დასაწყისს არჩევნებიც მოხდება.

◆ ჩვენ გვატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ საერო განათლების სამინისტროში კვალად აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რომელსამე კუთხეში დაარსდეს **საშუალო სამრეწველო სასწავლებელი**.

◆ სამთო დეპარტამენტის მინდობილებით, ამ ჟამად ინჟენერი მარგოლიუსი იკვლევს გლდნის ხეობაში **ოქროს მადნიან ალაგებს**. ამ საქმისათვის მიწათ-მოქმედების სამინისტრომ 5,000 მან. გადასდვა.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სამთო დეპარტამენტში პრინციპიალრად გადაწყვეტილია, **გლდნის ხეობაში ალაგები დაურიგონ** შესამუშავებლად და საწარმოებლად იმ პირთ, რომელნიც ამას ითხოვენ.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ს ატყობინებენ, რომ 21 ივლისს ოზურგეთის მაზრის მიქელგაბრიელის სოფლის საზოგადოებაში **განიზრახეს თავ. ი. მ. ნაკაშიძის მოკვლა**. საღამოს 5 საათზე, როდესაც თავ. ნაკაშიძე თავის მამულში დაიოდა და ნამუშევარს ათვალიერებდა, უეცრად გავარდა თოფი და თავ. ნაკაშიძე მსუბუქად დასჭრა ყურში. თავ. ნაკაშიძემ ამ დროს გაიგონა ხმა: „სულ ერთია, თუ დღეს არა, ხვალ მაინც მოგკლავენო!“ დამნაშავე მიიმალა.

◆ გაზ. „კასპში“ ვკითხულობთ: „გ. ზ. ა. ტაგიევის ფაბრიკას (სოფ. ახმედლი, ბაქოს ახლო) ესაჭიროება **მუშები**; ფაბრიკაში იღებენ აგრეთვე შაგირდებს.

◆ რადგანაც ბაკურიანის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, **ცხვერისა და ციხისჯვრის სამკურნალო წყლებს** დიდძალი ხალხი აწყდება, ამის გამო ბორჯომის მამულების მმართველობამ დაადგინა, დიდი ყურადღება მიაქციოს ამ წყლებს, რადგანაც გამოკვლევით დიდის ღირსებისა აღმოჩნდნენ.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **სტატისტიკოსს** ეკონომიურად & სხვა გვარადაც გამოუკვლევია გორის მაზრის შემდეგი სოფლები: ქვიშხეთი, ჩუმათელეთი, იტრია & ბაკურიანი. ნოემბრამდე უნდა დაიაროს შემდეგი სოფლები: ქარელი, რუისი, ბრეთი, აბისი, თილღვი, მეღრიკისი, ტირძნისი, ცხინვალი, თამარაშენი, მერეთი, ერედვი, ჩიპრიაანი, აწერის-ხევი, მეჯვრის-ხევი, ახალქალაქი, მეტეხი და ატენი. სტატისტიკოსის გამოკვლევანი ბიუროს ხარჯით ცალკე წიგნად გამოიცემა.

◆ ტფილისის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ მახათაძე დანიშნულ იქმნა ტფილისის მაზრის **მეორე ოლქის ბლაღოჩინად**.

◆ ქალაქის ზოგიერთმა მცხოვრებლებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, რომ **პურის ნიხრს მოუკლონ**, რადგანაც ბაზარში ფქვილი იაფად იყიდება. გარდა ამისა, ამბობენ მომჩივანნი, ხშირად მეპურენი პირველ ხარისხის პურის მაგივრად მეორეს იძლევიან და მეორის მაგივრად—მესამესა.

◆ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა დაავალა ექიმს ხარაზოვს დათვალიეროს და გაიგოს **სანიტარული მდგომარეობა ტფილისის აბანოებისა**.

◆ დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალი „მოამბის“ მე-VI №-რი შემდეგის შინაარსით: 1) ციცინათელა.—(ეტიუდი) ***-სა; 2) ეხ, მეტივე.—(ლექსი პროზად) შ. არაგვისპირელისა; 3) შიში.—(ა. ჩეხოვიდან) ა. მითაიშვილისა; 4) ტორკვემადა.—დრამა 5 მოქმედებად, ვიქტორ-ჰიუგოსი, თარგმანი კ. ყიფიანისა (დასასრული); 5) ტარას ბულბა.—(მოთხრობა) ა. გ. გოგოლისა, თარგმანი ან-ანისა; 6) ჰამლეტ; 7) უცხოეთის მიმოხილვა. — პოლონელები პრუსიაში.—საფრანგეთის საქმეები და 8) დამატება. საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე —ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. დ—სა.

◆ დ. **ბორჯომში**, როგორც გვატყობინებენ, წითელა გაჩენილა. 10 დღის განმავლობაში 15 ბავშვი გამხდარა ავად. აქედან 1 გარდაცვლილა, 10 მორჩენილა, ხოლო სხვანი კიდევ ავად არიან.

◆ კვირას, 28 ივლისს, სოფელ დიღომში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, დიღომის საეკლესიო სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, გამართული იქნება **ქართული წარმოდგენა**. წარმოადგენენ ზ. ავქ. ცაგარლის ორ მოქმედებიან კომედიას „ბაიყუში“ და ვოდევილს „ოინბაზს“. ეს მეორე წარმოდგენას მართავენ სცენის მოყვარენი აღნიშნულ სკოლის სასარგებლოდ.

◆ შაბათს, 20 ივლისს, დ. სურამში ნ. ყიფიანის მეთაურობით საქველ-მოქმედო აზრით ქართულის სცენის მოყვარეთ **გაუმართავთ წარმოდგენა**. წმინდა შემოსავალი ყოფილა სულ 120 მან. ასეთსავე წარმოდგენას აპირებენ სურამშივე 28 ივლისს.

◆ ამ დღეებში განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა წესები ქალაქის **გამგეობის მოხელე-მოსამსახურეთა საექიმო შემწეობის შესახებ**. ამ საქმისათვის მოხელე-მოსამსახურენი ორ კატეგორიად განიყოფებიან. პირველს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც 600 მანეთს იღებენ, მეორეს, რომელნიც 600 მანეთზე მეტს. პირველ მოხელეთ თავიანთ უბნის ქალაქის ექიმი უფასოდ შეუძლიანთ მიიწვიონ, ხოლო როდესაც სხვა უბნის ექიმებს მიიწვევენ, მაშინ ექიმთა სასარგებლოდ უნდა გადაიხადონ 1 მან., მეორე კატეგორიის მოხელეთ თითო ნაწვისთვის უნდა გადაიხადონ 50 კაპ., და თუ შინ მიიწვიეს 1 მან. 50 კაპ., მოხელეთ ექიმებს ფულის ნაცვლად უნდა გადასცენ ქალაქის გამგეობის მიერ ამისთვის შედგენილი მარკები, შემდეგ ჯამაგირის დარიგების დროს მოხელეთ გამოურიცხავენ ფულს და გადასცემენ ექიმებს. აღნიშნულ წესებს კომისია ახლო მომავალში წარუდგენს განსახილველად ქალაქის გამგეობას.

◆ ინჟენერ სიპაილოს დავალებული ჰქონდა გამოეკვლია საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად მთებში **ყინულები**, რამდენად საშიში არიან მგზავრთათვის. სიპაილოს გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ არაფრის შიში არ არის ამ ყინულების მხრივ, და თუნდაც ჩამოწვეს ზვავი, როგორც შარშან, გზამდის ვერ ჩამოაღწევს და ზვავი გაჩერდებაო.

◆ ტფილისში, პოლიციის მე-9 ნაწილში დოჯნის ქუჩის მოსახვევში, წ—დის სახლში 25 ივლისს ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდა. თუმცა ეს საქმე დროზე ეცნობა პოლიციის მოხელეს, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. აი, თვით საქმის გარემოება. სენაკის მაზრაში ვიღაც ალ. ჩ. (წინად ეს ჩ—ძე მაჰმადიანი ყოფილა სახელად ალია და მონათვლის შემდეგ ჩ—ის გვარს ატარებს), უკვე ცოლშვილიანს, შეუცდენია ერთის გლეხის გასათხოვარი ქალი ასე 17—18 წლისა, რომლის ვინაობაც ვერ შევიტყეთ, და წაუყვანია თან ბათუმში, სადაც ჯვარს დავიწერთო, მაგრამ ბათუმის ნაცვლად ამ კაცს ქალი ტფილისში წამოუყვანია, სადაც ვიღაც თ—სა და იმასთან მცხოვრებ ოსის ქალის სადგომში, წ—დის სახლში, დაბინავებულან. ჩ—ძეს, თ—სა და ოსის ქალს განუზრახავთ ჩამოყვანილ ქალის 200 მან. გაყიდვა. გაუმართავთ მოლაპარაკება მსყიდველებთან, მორიგებულან კიდეც, მაგრამ ამ დროს ჩ—ძესა და თ—ას უსიამოვნობა მოსვლიათ, თ—ას ქალი აღარ დაუნებებია და ჩ—ძე თავის ბინიდან გაუგდია. აი ამ გარემოებას გაუმწარებია ჩ—ძე, რომელმაც საქმე გამოააშკარავა. ქალმა მხოლოდ 24 ივლისს შეიტყო, რომ იგი ბათუმის ნაცვლად ტფილისში ყოფილა. 24 ივლისს, დილის 10 საათამდე მოტაცებული ქალი თ—თან იყო, მაგრამ 12 საათიდან სადღაც გადამალეს. როცა ჰკითხეს, რა უყავით ქალიო, გადაცხადეს, უკვე გავგზავნეთ სამეგრელოშიო. პოლიციას ჯერ ვერ გამოურკვევია მართლა გაგზავნეს ქალი, თუ სტყუიან.

◆ ტფილისის ნაწილის ბოქაული ბ-ნი გუგუშვილი ატყობინებს ტფილისის მაზრის უფროსს, რომ ამ ბოლოს დროს ბოჯგვსა, მაწევანსა, ელიზავეტალსა და სხვა სოფლებში რაღაც გამოურკვეველი ავადმყოფობა გაჩნდა ღორებსაო, რაც სულ ერთიანად მუსრს ავლებს თურმე. ალექსანდრე საგინაშვილს 500 ღორიდან 15-ღა დარჩენია სენმა ისე ამოჟლიტა. ადგილობრივ ბეითალს გაუშინჯავს ეს ავადმყოფობა და უთქვამს, რომ ამის წინააღმდეგ წამალი არა გვაქვსო.

◆ გუშინ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სოფელ კვთისხევში ბორანის გადაბრუნების დროს დაიხრჩო ორი ქალი. 24 ივლისს დიდუბეში ჰნახეს გვამი ამ დროს დამხრჩვალის, 17 წლის ქალისა. ეს ქალი სოფელ ხანდაკის მცხოვრები ყოფილა, სოფიო დუარსაბიშვილი. გვამი მიხეილის სავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

◆ ქალაქის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა დაავალა ექიმს გძელიშვილს, დაათვალიეროს აპიევის ხორცის დუქანი ნავთლუღში. დათვალიერებამ აღმოაჩინა, რომ დუქანი მეტად უსუფთაოდ ინახება და ამასთანავე ათი გირვანქა აყროლებული ხორცი აღმოჩნდა დუქანში, რის გამოც პატრონი პასუხის-გებაში იქნება მიცემული.

◆ ტფილისის ქალაქის გადამდებ სენით სავადმყოფოებში 15-დან 22 ივლისამდე ავადმყოფი ყოფილა მხოლოდ 4 კაცი დიფტერიტით. ორი მორჩენილა და 2 ეხლაც ავადა. თავისუფალი ადგილია 28.

◆ 24 ივლისს დიდუბეში, მტკვრის პირად, ნახეს წყლისაგან გამორიყულ დამხრჩვალი ქალის გვამი, რომლის პერანგზე სახელის და გვარის პირველი

უკეთეს პირობებში იყოს, ვიდრე დღესაა, იგი ორჯელ ამაზე მეტს შემოსავალს მისცემს ჩვენს დაქვეითებულს სოფელს.

მოსალოდნელია, რომ მეღვინეობა რიგიან ადგილს დაიჭერს ჩვენს მრეწველობაში; ამასთან ეს დარგი მეურნეობისა თან-და-თან დაჰკარგავს ნატურალურ ხასიათს და დაადგება მრეწველობის გზას. მომავალი ჩვენის მეღვინეობისა ბრწყინვალეა.

VII

რა არის მეღვინეობა და რას წარმოადგენს იგი?

მეღვინეობას საზოგადოდ ისე უყურებენ ჩვენში, როგორც ხელობას. როდესაც ლაპარაკი აქვთ მეღვინეობის ბედ-იღბალსა და იმის მომავალზე, საკმარისად სცნობენ ზოგიერთ ცნობათა მოყვანას (მაგალითად, სავენახე მანქანების გადატან-გადმოტანას რკინის გზებზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღის გავრცელებას და სხვას). ამ ცნობათა მიხედვით ამტკიცებენ, რომ მევენახობა-მეღვინეობა ჩვენში წინ მსვლელობის გზას დაადგაო. შეუძლიან თუ არა ჩვენ მეღვინეობას იარაღებისა და მანქანების შემწეობით განვითარება და ბაზარზე საპატიო ადგილის მოპოება? ჩვენის აზრით, არა. ამ აზრს ქვემოდ დავასაბუთებთ, ეხლა-კი დავუბრუნდეთ ისევ სალაპარაკო საგანს და განვმარტავთ, რას ნიშნავს მეღვინეობა.

სიტყვა „მეღვინეობა“ გვიხატავს ღვინის გაკეთებას, დაყენებას, და როგორც არ შეიძლება ისეთის საქმის გაკეთება, რომლის შინაარსიც არ გვესმის, ისე არ შეიძლება ღვინის დაყენება ღვინის თვისებათა გაუგებრად, უცოდნელად. სანამ არ შევისწავლით ღვინის თვისებებს და იმ ცვლილებებს, რომელიც ღვინოში ხდება, მანამ ღვინის დაყენებას ვერ გავაუმჯობესებთ და ამ საქმეში წარმატებას ვერ ვეღირსებით. მეღვინეობა, რაც დრო და ხანი გადის, მით უფრო მეცნიერულ ნიადაგზე დგება. მეღვინეობა განვითარდა ქიმიის შემწეობით, და დღეს იგი საკუთარ ალაგს იჭერს მეცნიერებაში, რადგანაც მეღვინეობას საკუთარი კითხვები აქვს; თუ იმის გადაწყვეტა შეძლო, ცვლილებას შეიტანს პრაქტიკულ მეღვინეობის საქმეში და დიდი მეცნიერული ინტერესიც ექნება.

მეღვინეობის მეცნიერულად შესწავლა ჯერ კიდევ არაბებმა დაიწყეს. არ შევეხებით, როგორ ვითარდება ამ საქმის შესწავლა; ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდ ხანს იარა კუს ნაბიჯით, სანამ არ მოჰფინა შუქი მეღვინეობის უმთავრეს საქმეს, ე. ი. დუდილს, საფრანგეთის დიდებულმა მეცნიერმა პასტერმა. აი აქედან დაადგა ნამდვილ მეცნიერულ გზას მეღვინეობის, უკეთ რომ ვსთქვათ, ტკბილის შესწავლის საქმე.

ყურძნის წვენი წარმოადგენს უძირო ზღვას თავისს უხილავის მცხოვრებლებით. იმათ მოხებითა და მეცადინეობით იქცევა ხოლმე იგი ღვინოდ და ძმრად ან კიდევ სნეულდება და ფუჭდება. ყურძნის წვენის ერთი წვეთი წარმოადგენს ვეებერთელა ლაბორატორიას, სადაც ფიზიოლოგიურ პროცესსებთან ერთად ჰხდება ქიმიური პროცესსებიც. აი ამ პროცესსების ნაყოფი და შედეგია ჩვენი ღვინო.

თუ გვინდა, რომ ღვინო კარგი დადგეს, თუ გვინდა, რომ დავიფაროთ იგი სხვა-და-სხვა სენისაგან, გავამარტივოთ ღვინის დაყენება და სრულიად დავიმორჩილოთ ის უხილავი მოვლენანი, რომელზედაც დამოკიდებულია სიკარგეც და სიავეც ღვინისა, უნდა ჩავიხედოთ იმ უძირო ზღვაში, სადაც მოვლენათა ცვალებადობა ჰხდება, გავანაწილოთ ისინი და შევისწავლოთ.

ამ მხრივ მეღვინეობამ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ. უკანასკნელ წლებში ევროპის მეცნიერებმა და მათ შორის გერმანელმა მეცნიერმა ბუხნერმა [5]) იმდენი საყურადღებო რამ აღმოაჩინეს, რომ მას პრაქტიკულ ინტერესის გარდა, დიდი ფილოსოფიური ინტერესიცა აქვს.

გარემოება ნებას არ გვაძლევს დიდ ხანს შევჩერდეთ ამ საინტერესო საგანზე. სხვა დროსთვის გადავდოთ ესა; ხოლო ვისაც აინტერესებს, იმან მიჰმართოს სპეციალურ ლიტერატურის უძვირფასესს კუთვნილებას ბ-ნ ვასილ მოსეს-ძის პეტრიაშვილის „ღვინის დაყენებას“. არა მარტო ჩვენი ლიტერატურა, რუსეთისაც-კი თამამად იამაყებდა, ასეთი შრომა რომ მოეპოვებოდეს.

ახლა ვიკითხოთ, შეუძლიან თუ არა ჩვენ ღვინოს უცხოეთის ბაზარი მოიპოვოს მარტო იარაღებისა და სამეურნეო მანქანების შემოღებით? ჩემის აზრით—არა, და აი რატომ:

ეჭვს გარეშეა, რომ თუ განვითარდა ტეხნიკა მეღვინეობისა, გაიაფდება ღვინო და გაუმჯობესდება ღირსებაც, მაგრამ ბაზრის მოპოებისათვის მარტო ეს არ არის საკმარისი. ყირიმის ღვინოები თუ არ დაგილევია, მკითხველო, უეჭველად გაიგონებდი მაინც რასმეს იმათ ღირსებაზე. მე პირადად ქებაც გამიგონია, დამილევნია კიდეც, მაგ-

---

[5] იხ. „Физико-Химическій журналъ“ 1898 წ. выпускъ 9, მე-257 გვ.

ასოები (П. М.) უნახავთ. დამხრჩვალის გვამი მიხეილის საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

✦ ტფილისის დედათა გადამდებ სენით სამკურნალოში 15 ივლისისათვის ყოფილა 34 ავადმყოფი ქალი; 15-დან 22-ივლისამდე მორჩენილა 6 ქალი, მიუღიათ კიდევ ერთი ავადმყოფი. თავისუფალი ადგილია 28.

✦ როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის ს. მეჯვრისხევში ყვავილი გაჩენილა.

✦ 15-დან 22-ივლისამდე ტფილისში ყოფილა 6 შემთხვევა სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავადმყოფობისა; აქედან 4 კაცი სახადით გამხდარა ავად, 1 დიფტერიტით და 1 ყივანა-ხველათი.

✦ 24 ივლისს პოლიციის პირველს ნაწილში ტფილისის მოქალაქე გიორგი გრიგოლის ძე კულაევი სიმთვრალის დროს გადმოვარდა ცხენიდან და ქვას თავი დაახალა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

რუსეთის ქრონიკა

✦ რკინის გზათა მთავარ საბჭოს გადაეცა განსახილველად ახალი პროექტი გასაგზავნ საქონლისა და ნივთების დაზღვევისა. ამ პროექტით დაზღვევა ძალიან გაადვილებული იქმნება თურმე.

✦ ფინანსთა და გზათა სამინისტროები და სახელმწიფო კანტროლიორი შეთანხმდნენ, რომ საგერბო ქაღალდი ამიერიდან გაიყიდოს ხოლმე გზათა სამინისტროს დაწესებულებებსა და რკინის გზის სადგურებში.

✦ სენატმა განმარტა სასჯელთა წესდების მე-29 მუხლი, რომელიც ეხება სასჯელს მთავრობის განკარგულებათა, მოთხოვნილებათა და დადგენილებათა შეუსრულებლობის გამო. ერთის კერძო საქმის გამო სენატმა განმარტა, რომ აუსრულებლობა მთავრობის განკარგულებისა უქმე დღეს მუშაობის შესახებ ისეთ დანაშაულს არ შეადგენს, რომელიც სასჯელის ღირსიაო. კანონის აზრი ის არის მხოლოდ, რომ ამ დღეს ნება არა აქვთ ძალა დაატანონ და ამუშაონ ვინმე. კანონი ნებას აძლევს უქმეებში მუშაობისას ქარხნებსა და საზოგადო მუშაობაზე, ამიტომ არავითარი საბუთი არ არის აიკრძალოს ამავე დღეებში მიწის მუშაობაო.

პრესსა

პეტერბურგის ზოგიერთმა გაზეთმა ამ დღეებში დაჰბეჭდა ხმა, ვითომც მთავრობას განზრახვა მოსვლოდეს სრულიად გააუქმოს საგუბერნიო ერობა. გრინგმუტის „მოსკოვ. ვედომ.“-ს ძალიან გახარებია ამის გაგონება და ამტკიცებს, რომ საგუბერნიო ერობის გაუქმებას ბევრი კეთილი ნაყოფი მოჰყვებაო,

> საგუბერნიო ერობის მოსპობაო, ამბობს გაზეთი, მაშინვე შეამცირებს მცხოვრებთა დიდ ხარჯს, რომელიც დღეს ერობის მოხელეთა შენახვას უნდება, და შეძლებას მისცემს მცხოვრებთ უფრო სასარგებლოდ დახარჯოს ეს ფული. სამაზრო ერობანი საჭირო თავისუფლებას მიიღებენ; მათ გადაეცემა საგუბერნიო ერობის შემოსავლის ნაწილი, ხოლო ეს გარემოება გაალონიერებს მათ ნივთიერად და იმავე დროს არც გადამხდელთ შეავიწროვებს. ამასთანავე მოისპობა „პარლამენტობიანობა“, ხოლო ერობა „მცხოვრებთა კავშირი“ კი არ იქნება, არამედ ადგილობრივი სამეურნეო დაწესებულება, ესე იგი, შეიქნება იმად, რადაც ყოველთვის უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სამაზრო ერობათა მოღვაწეობასაც არაფრისი დაბრკოლება აღარ შეხვდება: მათ შუამდგომლობათ აღარ დააგვიანებენ საგუბერნიო ერობაში და უფრო მალე დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნათაც.

„ნოვ. ვრემ.“-საც არაფრად ეპიტნავა მოსკოვის გაზეთის ასეთი უცნაური სიხარული და აკვირვებს მისი საბუთები. „პარლამენტობიანობა“ აქ რა შუაშია? გაკვირვებით ჰკითხულობს გაზეთი. რა ნახა პარლამენტური ჩვენის დროის საგუბერნიო ერობაში „მოსკ. ვედომოსტ.“-ებმაო? დაცინვით ამბობს სუვორინის გაზეთი და სამართლიანად დასძენს, რომ, თუ კატკოვისეულ გაზეთმა საგუბერნიო ერობას უკიჟინა „პარლამენტობია“, სამაზროც იმგვარივე უნდა იყოსო, რადგან იმგვარივე პროგრამით მუშაობს, როგორც საგუბერნიოო! რაც შეეხება სამაზრო ერობათა მეტ „თავისუფლებას“, არც დღეს უშლის მათ ხელს საგუბერნიო ერობაო.

ასე მიეგება ზემოხსენებულ ხმას ორი რეაქციონური გაზეთი, დანარჩენთაგან უმრავლესობას არც კი სწამს, რომ ეს ხმა ოდესმე გამართლდეს.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

⁂

გუშინ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მკითხველებთან სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის კომიტეტების შესახებ და, სხვათა შორის, აღვნიშნეთ, რომ საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს ნება აქვთ იმგვარ საკითხებსაც მიაქციონ ყურადღება, რომელნიც უმთავრეს კომიტეტს არ აღუნიშნავს. ცხადია, ამგვარი ნება აფართოვებს კომიტეტების უფლებას და ამასთანავე უეჭველად უფრო საინტერესოდ გახდის მათ. როგორ ფართოდ ესმისთ შიდა რუსეთში ზოგიერთ კომიტეტს თავისი მოვალეობა, სჩანს, თუნდაც, კურსკის გუბერნიის სუჯანსკის მაზრის კომიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამიდან. გაზეთების სიტყვით, ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ევრეინოვმა, შეადგინა ვრცელი პროგრამა კომიტეტის სახელმძღვანელოდ და ეს პროგრამა კომიტეტმა უცვლელად მიიღო. მოგვყავს აქ ზოგიეთი ღირსშესანიშნავი მუხლი ამ პროგრამისა:

> როგორია ადგილობრივ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა? მისი უნუგეშო მდგომარეობის მიზეზები ორნაირია: საზოგადო სახელმწიფო და კერძო სატეხნიკო. საზოგადო მიზეზებია: 1) დღევანდელი წესწყობილება, რომელიც უარჰყოფს საზოგადოებრივ ელემენტებს და საჭიროდ არ სთვლის მათ მონაწილეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში; ის წესწყობილება, რომელიც დაფუძნებულია ადმინისტრატულ—პოლიციურ წესებზე და უნდობლად უყურებს საზოგადოებას. 2) გლეხთა ცხოვრების უწეს-რიგობა: ა) მათ პიროვნებისა და მოლყაწეობის აპეკა; ბ) მათი განცალკავება სხვა წოდებათაგან; გ) სასამართლოსა და კანონების შეუფერებლობა გლეხთა ცხოვრებასთან; დ) გლეხთა წოდების დამდაბლება, აბუჩად აგდება; ე) გადასახადთა მძიმე ტვირთი; ვ) ადგილ-მამულის სიმცირე და სხვა. 3) ადმინისტრატიული აპეკა სოფელზე. 4) ყოველი საქმის გაძნელება; მაგალითად, საზოგადოებათა შედგენისა. 5) ფინანსიური პოლიტიკა, რომელიც მხედველობაში არ იღებს გლეხთა ინტერესებს

და სხვა; სულ 23 მუხლია, რომელნიც შეეხებიან საზოგადო სახელმწიფო ცხოვრებისა და სოფლის მდგომარეობის ყველა მხარეს. აი, ასეთი ფართო პროგრამით დაიწყო მუშაობა სუჯანსკის სამაზრო კომიტეტმა და ჩვენც ვუერთდებით რუსულ გაზეთების სურვილს, რომ ამგვარივე პროგრამა შეედგინოსთ სხვა კომიტეტებსაც!..

საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სკოლების ახალი პროგრამა

20 ივნისს უწმ. სინოდმა, თანხმად სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებისა, დაამტკიცა საქართველოს საექსარხოსოს სასწავლებელთა საბჭოს მიერ ახლად შემუშავებული პროგრამა იმისა, თუ როგორ უნდა განაწილდეს სასწავლო მასალა საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, რუსეთის იმ ადგილებში, სადაც სხვა-და-სხვა არა რუს ტომის ხალხები სცხოვრობენ, სამრევლო სკოლებში 4 წლის კურსი უნდა იქმნას შემოღებული. უწმინდეს სინოდს მიუღია სახეში ეს წესი და აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს საექსარხოსო დასახლებულია სხვა-და-სხვა ტომის ხალხით და გადაუწყვეტია: საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი და სინოდის სასწავლებელთა საბჭოს განმარტების თანახმად საქართველოს სამრევლო სკოლების ზედამხედველის მ. ვოსტორგოვისაგან შესწორებული პროგრამა აღნიშნულ სკოლებისა დამტკიცებულ იქმნეს და დაევალოს საქართველოს საექსარხოსო საეპარქიო სკოლების საბჭოს შეუდგეს უწ. სინოდის გადაწყვეტილების განხორციელებას მომავალ სამოსწავლო წლიდან.

სამღვთო სჯული ადგილობრივ ენაზე უნდა ესწავლოს ბავშვებს 3 წლის განმავლობაში; მაგრამ ამავე დროს რუსულს ენას იმდენი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მეოთხე წელიწადს ბავშვებს შეეძლოს განმეორება სამღვთო სჯულის მთელის პროგრამისა რუსულს ენაზე. პირველ წელს უნდა ასწავლონ ადგილობრივი გალობა; ხოლო მეორე წელს საეკკლესიო—სლავიანური. სადაც არ არის ადგილობრივ ენაზე გალობა, იქ ბავშვები პირ-და-პირ რუსულად უნდა აგალობონ. აკრძალულია ერთი ტომის ხალხის ბავშებს სხვა ტომის (გარდა რუსებისა) ხალხის გალობა ასწავლონ; ნება დართულია გალობის შესწავლა მხოლოდ დედაენაზე და რუსულ-სლავიანურზე. მე-2 წელიწადს 2 გაკვეთილს კვირაში მოანდომებენ ადგილობრივ ენაზე გალობას და ორსაც რუსულ-სლავიანურ გალობას; ასე გაგრძელდება კურსის დასრულებამდე.

რუსულ ენას 1-ლ სამოსწავლო წლის პირველს ნახევარს ეთმობა კვირაში 9 გაკვეთილი, აქედან სამი გაკვეთილი წერისაა. ბავშვებს სიტყვები უნდა შეასწავლონ და წინადადებანი უნდა შეადგენინონ მუნჯურის მეთოდის საშუალებით. ამ პროგრამითვე გაგრძელდება რუსულის სწავლება. მეორე სამოსწავლო წლის განმავლობაშიაც ამდენივე გაკვეთილი იქნება რუსულის ენისა კვირაში, ხოლო ამ წელს ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე სურათების ჩვენებას და ამ გზით რუსულის ენის შესწავლას. მეორე წელს ბავშვებმა რუსულიდან უნდა ისწავლონ მაგ. იმდენი, რამდენსაც შეიცავს ბ. ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“-ს 1 ნაწილი (მე-7 გამოც.). მესამე წელს ბ. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“-ს მეორე ნაწილის ოდენა უნდა ასწავლონ ბავშვებს, ხოლო მე-4 წელს უნდა ასწავლონ იმ წიგნებიდან, რომელნიც წმინდა რუსულ სკოლებში იხმარებიან.

საეკლესიო სლავიანური ენა უნდა ესწავლებოდეს ქალაქის სამრევლო სკოლებში; ეს ენა სავალდებულო არ იქნება იმ ადგილების სკოლებისათვის, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობა არა რუსთაგანია; მხოლოდ წესდება სასურველად სცნობს სლავიანურ ენის შესწავლა ყველა სკოლებში იქმნას, რადგან კავკასიის მცხოვრებნი, სამხედრო ბეგრის მოხდის, დროს ეკლესიებში წირვა-ლოცვას სლავიანურს ენაზედ ისმენენ. ეს ენა ამ სკოლებში მეორე წელს კვირაში ერთს გაკვეთილს დაიჭერს და შემდეგ წლებში ორ-ოლ გაკვეთილს.

ადგილობრივს ენას პირველს სამოსწავლო წელს კვირაში 6 გაკვეთილი დაეთმობა; მეორე წელს სამი გაკვეთილი იქნება და უნდა ისწავლონ ხუცური; მესამე წელს 2 გაკვეთილი სამშობლო (სამოქალაქო) ენას უნდა მოხმარდეს და 2 გაკვეთილი ხუცურის შესწავლას. მე-4 წელს კი კვირაში სამი გაკვეთილი იქნება მხოლოდ და უნდა ასწავლონ ხუცური ენა.

ადგილობრივ ენის სწავლების შესახებ, რადგანაც საქართველო სხვა-და-სხვა ტომის ხალხით არის დასახლებული და ამასთანავე ადგილობრივ ენაზე არ მოიპოვებიან ისეთი სახელმძღვანელონი, რომელნიც შეეფერებიან საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მოთხოვნილება-მიმართულებას, საჭიროა იხელმძღვანელონ შემდეგის შენიშვნებით: ა) უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საეკკლესიო წიგნების სწავლებას ღ ღვთის მსახურების საქმეს, რათა მოსწავლენი ისე დახელოვდნენ, რომ შეეძლოსთ შეგნებულად დახმარება გაუწიონ მღვდლებს ღვთის მსახურების დროს; ბ) სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება; გ) ადგილობრივ ენის შესწავლის მიზანია მოსწავლემ შეიძინოს თავის დედაენაზე მხოლოდ წერა-კითხვა; ხოლო შეძენა სხვა-და-სხვა ცოდნისა, გაფართოება და განვითარება გონებისა უმთავრესად რუსულის ენის საშუალებით ხდებოდეს, რადგან რუსული ენა რუსეთის ყველა ერების შემაერთებელია და ამასთანავე უფრო მდიდარი, ვიდრე ადგილობრივი ენები, რომლებშიაც ხშირად უბრალო სიტყვაც არ მოიპოვება ამა თუ იმ აზრის გამოსახატავად. ესა თუ ის ადგილობრივი ენა უნდა ისწავლებოოდეს მხოლოდ იქ, სადაც ამ ენაზე უმრავლესობა

რამ, წარმოიდგინეთ, არ მომწონს და შეძლება რომ მქონდეს, თავის დღეში არ დავლევ და ჩვენებურ ღვინოებზე მაღლა არ დავაყენებ. ასეა საზოგადოდ ბაზარზედაც: ვისაც რა მოსწონს, იმას ყიდულობს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენებური ღვინო, ბუნებრივი და არა გადამახინჯებული, ჯერ-ჯერობით გარეშე ბაზარს ვერ მოიპოვებს, რადგანაც ცუდი ღირსებები აქვს და ამნაირ ღვინოს არსად არიან შეჩვეული. საკითხავია ამიტომ აი რა: შეიძლება თუ არა ჩვენის ღვინის ტიპი შეიცვალოს, ე. ი. დაუახლოვდეს ევროპის ტიპის ღვინოს, ისე რომ თავის ღირსებანი არ დაჰკარგოს?

ამაზედ გადაჭრით პასუხის მიცემა, ჩემის აზრით, დაუფიქრებლობა იქმნება. გამოცდილებითა და სერიოზულ გამოკვლევით უნდა დამტკიცება ამ საქმეს. ჩვენი ქვეყანა იმდენად მრავალ-ბუნებიანია (თუ კი შეიძლება ასე ითქვას), რომ ყოველ რაიონის ღვინოს თითქმის თავისი ტიპი აქვს; აიღეთ, მაგალითად, კახური ღვინო და შეადარეთ ქართლისას, ქართლის იმერეთისას და განსხვავებას ბევრს ჰნახავთ, საერთოს კი ერთს— ყველა კუთხის ღვინო მწკლარტე6) (терпкій). აიღეთ თუ გინდ იმერეთის ღვინოები: რაჭისა, ლეჩხუმისა, შორაპნისა და შეადარეთ ერთმანეთს: განსხვავება ბევრია, საერთო კი ცოტა. ევროპიულად ღვინის დაყენებას ჩვენში მოჰყვება ჭურ-მარნის მიტოვება. განა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი ღვინოები კარგად ინახებაო? ყველა ამის გამოკვლევა მიუცილებლად საჭიროა ჩვენის მეღვინეობისათვის. ჩემის აზრით, ჩვენის ღვინის ტიპი უცვლელად უნდა დარჩეს, მხოლოდ იმის ღირსებანი უნდა გაუმჯობესდეს. ღირსებანი თუ გაუმჯობესდა, ჩვენი ღვინო ბაზარზე იშვიათ ღვინოთა რიცხვში მოჰყვება, ისეთ ღვინოებისა, როგორიც არის შამპანიისა, რეინისა და სხვანი. ამაების გამოსაკვლევად და გადასაწყვეტად საჭირონი არიან სპეციალისტნი, რიგიანად მომზადებულნი.

იმედი რომ გვქონდეს თავად-აზნაურობისა, ვიცოდეთ, რომ იგი ჩვენ აზრს მიიღებს და ეცდება იმის განხორციელებას, ამ წინადადებას მივცემდით.

დაარსოს შემდეგის ტიპის სამეურნეო სასწავლებელი მეღვინეობა-მევენახობის განყოფილებით: სწავლის ვადა ამ სასწავლებელში 6 წელიწადი უნდა იყოს. პირველ კლასში შესასვლელად საჭიროა არა ნაკლებ ოთხის კლასის ცოდნისა. უეგზამენოდ მიიღებიან ის ყმაწვილები, რომელთაც დამთავრებული ექმნებათ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა, პროგიმნაზია, ან სამოქალაქო სასწავლებელი, აგრეთვე ისინი, ვინც გამოცდის შემდეგ მიღების ღირსნი აღმოჩნდებიან. პირველ სამ კლასში უნდა გაგრძელდეს სწავლება საზოგადო საგნებისა გიმნაზიის პროგრამით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკას; დაიწყება ამასთანავე საბუნების-მეტყველო საგნების სწავლებაც. მეოთხე კლასში ასწავლიან საბუნებისმეტყველო და სამეურნეო საგნებს. მეხუთესა და მეექვსეში ორი განყოფილება იქნება: სამეურნეო და სამეღვინეო. ოთხ კლასის გათავების შემდეგ ყმაწვილს ნება ექმნება ამოირჩიოს ერთ-ერთი განყოფილება. ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს თუ ორისა არა, ერთ-ერთ ახალ ენის შესწავლა მაინც.

რასაკვირველია, ყმაწვილები სასწავლებელში პრაქტიკულადაც იმეცადინებენ. ამ გვარ სასწავლებელში კურს-დამთავრებული ყმაწვილი კაცი იმდენად მომზადებული იქმნება თეორეთიულადაც და პრაქტიკულადაც, რომ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულს თუ არ აჯობებს, უკან მაინც არ ჩამორჩება. მათი მოღვაწეობა დიდად ნაყოფიერი იქნება ქვეყნისათვის, მით უმეტეს, რომ იმათი ცოდნა როგორც თეორეთიული, ისე პრაქტიკული, შეთანხმებული იქნება ადგილობრივ პირობებთან. ამას გარდა გამოიკვლევა და შეისწავლება მეცნიერულად ჩვენის ქვეყნის ბუნება, ნიადაგი და მევენახობა-მეღვინეობის პირობანი.

ამნაირ ტიპის სასწავლებლის სარგებლობაზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ხოლო თუ გარემოება მოითხოვს, დიდის სიამოვნებით განვმარტავთ ყოველსავეს.

ჩვენს თავად-აზნაურობას უმაღლესად ნაბოძები აქვს 40 ათასი მანეთი, რომელიც ჩვენგან დასახელებულ ტიპის სასწავლებელს არ ეყოფა; არც გვგონია, რომ თავად-აზნაურობამ სხვა წყარო გამონახოს რამე.

ჩვენის აზრით, თუ კი ეს წინაამდეგი არ იქნება რაიმე მოსაზრებისა, უნდა ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს, დაგვიარსოს და მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ ეს სასწავლებელი. დარწმუნებული ვართ, რომ ფინანსთა სამინისტრო წინაამდეგი არ იქმნება ამ გვარ სასწავლებლის დაარსებისა.

ალ. მაჭავარიანი

კიშინევი.

ლაპარაკობს. ამის მიხედვით აკრძალულია ერთის ტომის მოსწავლეებს მეორე ტომის ენა ასწავლონ. მაგ. აკრძალულია ოსებს ქართული ასწავლონ, ბერძნებს—თათრული და სხ..

ამასთანავე თუ სადმე ქართველებს დაუვიწყნიათ დედა-ენა ან და ლაპარაკობენ ისეთ ენაზე, რომელიც თუმცა ქართულის მოდგმისაა, მაგრამ ქართულ წმინდა ლიტერატურულ ენისაგან იმდენად დაშორებულია, რომ მცხოვრებლებს ქართული ენა არ ესმით, ამ შემთხვევაში ქართული ენის სწავლება აქ აკრძალულია.

იმ სკოლებში, სადაც ყველა მოსწავლენი ადგილობრივ მცხოვრებთაგანია, სწავლა უნდა სწარმოებდეს შემდეგის ცხრილის თანახმად.

საგნები.	რიცხვი გაკვეთილებისა კვირაში.			
	1-ლი წელ.	მე-2 წელ.	მე-3 წელ.	მე-4 წელ.
სამღვთო სჯული .	6	6	6	6
რუსული ენა . . .	6	6	6	6
საეკლესიო სლავიანური ენა . . .	—	1	2	2
რუსული წერა . .	3	3	2	2
ადგილობრივი ენა და წერა	6	3	2	2
ხუცური ენა . . .	—	2	2	3
ანგარიში	4	4	4	4
საეკლესიო გალობა.	4	4	4	4

პროგრამაში აგრეთვე შემუშავებულია წესი, თუ როგორ სწარმოებდეს სწავლა იმ სკოლებში, სადაც სხვა-და-სხვა ტომის ახალ გაზდები სწავლობენ; ამ სკოლებში რუსული ენა პირველ წლიდანვე უნდა ისწავლებოდეს; დედა-ენის დახმარებით პირველს ორს წელიწადს უნდა ასწავლონ მხოლოდ სამღთო სჯული, თუ ამასთანავე სამღვთო სჯულის მასწავლებელი იმ ტომს ეკუთვნის, რომელთა ბავშვებსაც ასწავლის. უმთავრეს დღესასწაულების შესახებ ცნობები უნდა შეიგნონ დედა-ენაზე, ხოლო ისე, რომ პასუხის მიცემა ნასწავლიდან რუსულს ენაზედაც უნდა შეეძლოსთ; ხოლო მეორე წელს ბავშვებს უკვე თავისუფლად უნდა შეეძლოსთ რუსულ ენაზე აღნიშნულ საგნების სწავლა; მესამე წელს საეკლესიო ლოცვები უნდა ასწავლონ მარტო დედა-ენაზე და დანარჩენი საგნები—რუსულს ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ არეულ სკოლებში ერთი ტომის ხალხის ბავშვები მეტი იქნება, მაშინ ცოტაოდენი ცვლილება ხდება და დედა-ენას გაკვეთილები ეთმობა კვირაში ორჯელ. ასეთ შერეულ სკოლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს შემდეგი ცხრილის თანახმად:

საგნები.	რიცხვი გაკვეთილებისა კვირაში.			
	1-ლი წელ.	მე-2 წელ.	მე-3 წ.	მე-4 წ.
სამღვთო სჯული . .	6	6	იმ პროგრამით, რომელიც ნორმალურ სკოლებში მეორე წელს არის სახმარებლად მიღებული.	იმ პროგრამით, რომელიც ნორმალურ სკოლებში მე-3 წელს არის სახმარებლად მიღებული.
საეკლეს. სლავიანური გალობა	4	4		
საეკლეს. სლავიანური ენა . .	—	4		
რუსული ენა	10	7		
რუსული კალიგრაფია. .	4	3		
ანგარიში.	5	5		

განსაკუთრებულის პროგრამით იქნება სწავლება აგრეთვე იმ ადგილების სკოლებში, სადაც ღვთის მსახურება ადგილობრივს ენაზე არ სწარმოებს. ასეთის ტიპის სკოლებში სწავლა პირველ დღიდანვე რუსულ ენაზე უნდა იყოს დაწყებული და ყოველივე საგნები ამ ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

ასეთის სკოლებისათვის სასწავლებლად შემდეგი ცხრილია შემუშავებული:

საგნები.	რიცხვი გაკვეთილებისა კვირაში.			
	1-ლი წელ.	მე-2 წელ.	მე-3 წ.	მე-4 წ.
სამღვთო სჯული . .	6	6	იმ პროგრამით, რომლითაც ნორმალურ სკოლებში მეორე წელს სწარმოებს სწავლა.	იმ პროგრამით, რომელიც მიღებულია ნორმალურ სკოლებში მესამე წელს.
საეკლეს. სლავიანური გალობა	4	4		
საეკლეს. სლავიანური ენა . .	—	4		
რუსული ენა. . . .	11	7		
რუსული გალობა. .	3	3		
ანგარიში.	5	5		

დაბა-სოფლები

ს. ვარდისუბანი (თელავის მაზრა). ეს მეხუთე წელიწადია, რაც ამ სოფელშიაც დაუწყეს წამლობა ვენახებს შაბიამნითა და გოგირდით. სამწუხაროდ, რადგანაც დროზე ვერ სწამლობენ, ამიტომ, როგორც წინა წლებში, ისე წელსაც წამლობამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა. ეს არის მიზეზი, რომ სოფლელნი ვერ დარწმუნებულან წამლობის სარგებლობას. დროზე და შესაფერად რომ ახერხებდნენ წამლობას, აქამდე გლეხები, რასაკვირველია, აზრს გამოიცვლიდნენ. ხუთმა-ექვსმა კომლმა უწამლა დროზე და ეხლა კარგი ვენახებიც აქვთ. წინა წლებში თუ ოთხ-ხუთი ჩაფი უდგებოდათ, წელს თითოს ოთხ-ხუთი საპალნე დაუდგება. ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, დაანახვებს ხალხს, რომ წამლობა აუცილებლად საჭიროა კარგის მოსავლისათვის. იმედია, წელს თუ ხუთი-ექვსი კომლი დააჯილდოვა რიგიანმა წამლობამ, კულავ მთელს სოფელს დააჯილდოვებს. ეხლა მდიდარი და ღარიბი იმას გაიძახის, რომ კულავისათვის ურიის ყელში რომ ჩავდგე, მაინც ხელ-შეწყობით უწამლებო.

19 ივლისს მშვენიერი წვიმა მოვიდა, რომელმაც კაი გვარიდა მზისაგან დამწვარი მიწა.

ხანდრო

უცხოეთის წვრილი ამბები

რა ყოფაშია ამ ჟამად კუნძული მარტინიკა. ყველამ უწყის, რომ ეხლახან (თიბათვეში) კუნძულ მარტინიკაზე, რომელიც საფრანგეთის სამფლობელოს შეადგენს, ცეცხლ-მფრქვევმა მთამ იფეთქა, და მთის გულიდან ამოხეთქილმა ნალვერდალმა და ნაცარ-ტუტმა მთლად წალეკა და გააჩანაგა ქალაქი სან-პიერი თავის მიდამოებით. ამ უბედური მოვლენის გამო საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს პარიზის ერთი მწერალი, ექიმი პიმევენი, რომელსაც მარტინიკიდან წერილი მიუღია, რა მდგომარეობაშია იგი ეხლა:

„პარასკევს, ექვსს ივნისს, დილის ცხრა საათზე საშინლად იფეთქა ვულკანმა (ცეცხლ-მრფქვევი მთა), რომელმაც ხუთს ახალ ალაგს ამოხეთქა. ყველა ეს მოხეთქილი ადგილები გამწკრივებულია ერთს ხაზზე, და თუ ისინი შეერთდენ, დიდი უბედურება მოელის კუნძულს.

სამი ვერსის მანძილზე ზღვის ძირმა საშინლად დაიწია. წყალ ქვეშ რომ ტელეგრაფის ხარახოები იყო ჩაშვებული ას ოც საჟენზე, ეხლა იმ ხარახოებმა დაიწიეს ცხრა ასს საჟენამდე და დიდრონი ხეების შტოებს გადაეხლართენ. თუმცა ეს ხარახოები გაასწორეს, მაგრამ ხელ-ახლა წახდა და მაშინ სულ გააუქმეს ამ ადგილს წყალ ქვეშ ტელეგრაფი.

ზღვის ნაპირას, დაღუპულ ქალაქ სან-პიერის ახლო, ძალიან დაიწია მიწამ; ამ ჟამად ზღვის წყალმა ისე წამოიწია წინ, რომ გადარჩენილი ეკლესია მთლად აივსო და სოფელ სენ-ფილომენი სულ დაჰფარა წყალმა. სამმა უკანასკნელმა ამოფეთქებამ სულ დაამთავრეს საქმე. ამ ჟამად ქალაქ სან-პიერის შენობების ნასახიც არ არის. ეს ჩინებული ქალაქი მიწასთან გასწორებულია, აღარა არის-რა იმ ადგილზე, როგორც ხელის გულზე, და მხოლოდ ეს ადგილი არშინ-ნახევარზე დაფარულია ფერფლითა და ნაცარ-ტუტითა“.

* *

ქ-ნი დე მენტენონი. ეხლა ხან პარიზში გამოვიდა წიგნი მეფე ლიუდოვიკ მეთოთხმეტის შესანიშნავს მეგობარზე, ქ-ნ მენტენონზე. ავტორი თავის თხზულებაში სრულის სინამდვილით გვიხატავს ქ-ნ მენტენონის სურათს ყოველი მისის ღირსებით და ნაკლულევანებით. როგორი გარეგანი შეხედულობა ჰქონდა ამ ქალს, იმისი სურათიდანა სჩანს, რომელიც დახატულია 1659 წელს, როდესაც ის ოცდა ოთხი წლისა იყო. სურათში ამ ქალს თავი ცოტა გვერდზე მოხრილი აქვს, და გასაოცარი გულმკერდი და ყელ-ყური უჩანს. მაღალ და ბრტყელ შუბლზე ხშირი შავი თმა გვირგვინივით ამშვენებს; იმის შავ თვალ-წარბზე უკეთესი სანახავი არა არის-რა. ტუჩები უფრო მომხო აქვს და წყლიანი, რაც იმის ძლიერს გრძნობიერებას ხატავს.

ქალ. მენტენონი დაიბადა საპყრობილეში, სადაც მაშინ იმისი მამა კონსტან დობინიე დაპატიმრებული იყო. შემდეგ ის გადასახლდა კუნძულ მარტინიკაზე, სადაც ის ძალიან მდიდრულად და მედიდურად ცხოვრობდა, როგორცა სჩანს, რადგანაც იმის დედას მარტო ოც და ოთხი მოახლე ჰყვანდა. როდესაც ის გემით მიჰყვანდათ, ისე ცუდად შეიქნა, რომ მკვდარი ეგონათ და, ცოტა გაწყდა, ზღვაში არ გადაუძახეს, მაგრამ ვიღამაც შეამჩნია, რომ კიდევ სუნთქავდა და მოასულიერეს, როდესაც საფრანგეთში დაბრუნდა თავის ქვრივის დედით, დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდენ, რადგანაც თავიანთი ქონება ზოგი მოვალეებს დაურიგეს და ზოგიც უპატიოსნო ნათესავებმა გაუფლანგეს.

ეს ქალი თავისთან წაიყვანა ერთმა ნათესავმა ქალმა ნეიონმა, რომელიც საშინელი ბოროტი და ძუნწი იყო, ასე რომ საბრალო მშვენიერ ნორჩ ქალს ინდაურებს და ბატის ჭუკებს ადევნებდა უკან. ასეთი უიღბლო იყო ეს ქალი, რომ თუ არ ინდოური და ბატები მაინც ვისიმე მომვლელი და ლალა უნდა ყოფილიყო. ყველაზე უწინ იმას შეხვდათ აკის ქმრის ლალაობა და მოვლა. იმისი ქმარი ბებერი იყო და დამბლად ჩავარდნილი, და ყმაწვილ ქალს არ შეეძლო ლოგინიდან მოშორებიყო. შემდეგ იმას დაავალეს ლიუდოვიკ მეთოთხმეტის ბავშვების მოვლა და ყურის გდება. ბოლოს მოხუცი მეფის ყურის მგდებლად და მომვლელად იყო. როგორც ვიცით, საშინელი ძნელი იყო ამ მეფის გართობა.

ქ-ნი მენტენონი ყოველთვის დიდს სიკეთეს სთესავდა, ყველა საწყლები და ღარიბები იცნობდენ იმას და საშინლადაც უყვარდათ, როგორათაც თავის მშობელი. „მაგრამ მიუხედავად ყველა ამისათ, ამბობს წიგნის ავტორი,—ეს დიდებული ადამიანი სრული ბედნიერი თავის დღეში არა ყოფილაო“.

წერილი რედაქციის მიმართ

14 ივლისს, თავ. ნ. ჩხეიძის სახლში, დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს „სიკოია დენჩიკი“ და ვოდევილი „ბუტიაობა“. სულ შემოვიდა 110 მან., წმინდა შემოსავალი დარჩა 70 მან. წარმოდგენას გამგეობდნენ კნ. ალექსანდრა ჩხეიძისა და მათი მეუღლე თავ. გიორგი ჩხეიძე. დიდ მადლობას ვწირავთ ამათ წარმოდგენის გამართვისათვის, აგრეთვე თავ. ნ. ჩხეიძესს, რომელმაც უფასოდ დაუთმო სახლი. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ყველა იმათ, რომელთაც წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს, სახელდობრ ქ-ნთ ელენე გომართელისას, ლიუბა ბიბილეიშვილს, ნინო ლორთქიფანიძისას, ალექსანდრა დევიძეს, ალ. არაბიძეს, ბ. მდივანს, დავ. ფალავას, პ. ლორთქიფანისეს და ბ. გელაზანიას.

დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე **ივანე დოლიძე**

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივლისი

ჰააგა. კრიუგერი უტრეხტიდან მოვიდა, იმას მიეგება ვოლმარანსი. დიდ ძალი ხალხი ალტაცებით მიესალმა კრიუგერს. შტეინი უკედ არის.

იშლი. დილით რუმინიის მეფე კაშტეინში წავიდა.

ლონდონი. შანხაიდან მოსულის ცნობებით, საფრანგეთის ელჩმა აუწყა ჩინეთის წარმომადგენელს, რომ საფრანგეთის მთავრობა თანახმაა გაიწვიოს შანხაიდან თავისი ჯარები, როგორც კი სხვა სახელმწიფოებიც ჩაიდენენ ამას.

ვაშინგტონი. სამიწათ-მოქმედო ბიუროს უოველკვირეულ მოხსენებიდანა სჩანს, რომ დარები ხელს უწყობს ბამბის მოსავალს.

ვარშავა. მატარებელმა, რომელიც ვარშავიდან ნოვო-გიორგიევსკში მიდიოდა, სადგურ პრაგაზე გვერდი გაჰკრა საქონლის მატარებლის ლოკომოტივს; ორივე ლოკომოტივები დაზიანდნენ; ლიანდაგიდან გადმოვარდა ერთი ლოკომოტივი და ექვსი ვაგონი; ოთხი კაცი მსუბუქად დაშავდა.

რეველი. 10 საათსა და 23 წუთზე იახტა „ჰოჰენცოლერნი“ და „შტანდარტი“ ნავსადგურს მოახლოვდნენ.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებული სია იმ ქაღალდებისა, აქტებისა და დოკუმენტებისა, რომელთაც უნდა გარდახდეთ საგერბო გარდასახადი და რომლებიც განთავისუფლებულია გარდასახადისაგან.

25 ივლისი

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: 23 ივლისს ვიშგოროდის ციხე-დარბაზში მოხელეთა მიღების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: „გმადლობთ, ბატონებო! დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ აქ, თქვენის სამსახურის ადგილას. ვისურვებ, შემდეგშიაც განაგრძოთ თქვენი სამაგალითო სამსახური“. ესტლიანდიის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მისაგებებელ სიტყვის მოსმენის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორმა მიჰმართა თავად-აზნაურობას და ბრძანა: „დიდათ ნასიამოვნები ვარ თქვენი მიღებით, ვწუხვარ მხოლოდ ერთს,— რომ ჩემთან არ არის დედოფალი იმპერატრიცა; მაგრამ იმედი მაქვს, რომ უკანასკნელად არა ვარ რეველსა და ესტლანდიის გუბერნიაში. ერთხელ კიდევ გმადლობთ პატიოსან სამსახურისათვის, როგორც თქვენ, აგრეთვე იმ განსვენებულ მოდგმეთ, რომელთა სახელებიც ამ კედლებზეა გამოსახული“. რეველის ახალ საზღვაოსნო საკრებულოში ყოფნის დროს ხელმწიფე იმპერატორმა მიჰმართა ზღვაოსნებს და ბრძანა: „ბატონებო, ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ვისურვებ რეველის ახალ საზღვაოსნო საკრებულოს წარმატებას“. შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა სერენადა, რეველის მგალობელთა საზოგადოების მიერ შესრულებული, და ბრძანა: „გმადლობთ მშვენიერ სიმღერისათვის“.

23 ივლისს რეველში წავიდა გერმანიის იმპერატორთან წარსადგომათ გერმანიის იმპერატორის სახელობის ვიბორგის მე-85 ქვეითა რაზმის დეპუტაცია.

ლონდონი. მეფე, დედოფალი და პრინცესსა ვიქტორია 5½ საათზე სადგურ ვიქტორიაზე მოვიდნენ. მეფემ ადგილად გაიარა ეტლამდე. იქიდან ეტლით ბუკინჰემის სასახლეში მივიდა. დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

ბელგრადი. სენატმა 28 ხმით, წინააღმდეგ 7-სა დაამტკიცა სესხის პროექტი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ შეიწყნარა კანონ-პროექტი აპროპრიაციის შესახებ.

კონსტანტინეპოლი. სასანიტარო საბჭომ მოსპო კარანტინი, რომელიც ადესიდან მომსვლელთათვის იყო დაარსებული.

რეველი. დილის მეცხრე საათზე გამოჩნდა გერმანიის იმპერატორის იახტა „ჰოჰენცოლერნი“, ჯავშნიანი კრეისერი „პრინც ჰენრიხი“, კრეისერი „ნიმფა“, გემი „სლეიპნერი“ და სამი ნაღმიანი გემი. როდესაც „ჰოჰენცოლერნიდან“ დაინახეს რუსეთის იმპერატორის იახტა „შტანდარტი“, გერმანიის იმპერატორის ბრძანებით 31-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი ნიშნად სალამისა. ხელმწიფე იმპერატორი მიეგება „ჰოჰენცოლერნს“ თავის იახტით, რომელსაც თან ახლდნენ გემები „სვეტლანა“, „პოლიარნაია ზვეზდა“ და ექვსი ნაღმთ გემი. გერმანელთა მისალმების პასუხად „შტანდარტი“-დანაც 31-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ამის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა გერმანიის იმპერატორს მისასალმებლად 33-ჯერ გაესროლათ ზარბაზანი. „ჰოჰენცოლერნიდან“ ასევე უპასუხეს. შემდეგ „ჰოჰენცოლერნზე“ დაუკრეს რუსეთის საერო ჰიმნი, „შტანდარტზე“ გერმანიის საერო ჰიმნი. გერმანიის იმპერატორი ავიდა „შტანდარტზე“, სადაც კიბეზე მიეგება მას რუსეთის იმპერატორი. ორივე იმპერატორი „შტანდარტ“-ით გაემგზავრნენ რეველისაკენ. მათ მიახლოვებაზე ესკადრამ 21-ჯერ გაისროლა ზარბაზანი, ზღვაოსნები „ურა“-ს ჰყვიროდნენ. გერმანიის იმპერატორს რუსული მუნდირი ეცვა და ანდრიას ლენტი ჰქონდა გაკეთებული, ხელმწიფე იმპერატორ ადმირალის მუნდირი ეცვა და შავი არწივის ორდენი ჰქონდა გაკეთებული. რეველის ნავთ-სადგურში მოსვლის შემდეგ გერმანიის იმპერატორი „ჰოჰენცოლერნზე“ დაბრუნდა, სადაც ხელმწიფე იმპერატორმა სამგზირო დარბაზობა გადაუხადა. 3 საათზე მათი უდიდებულესობანი დაესწრნენ ესკადრის გემების აღლუმს, რომელმაც 6 საათამდე გასტანა.

მოსკოვი. ვინდავის გზაზე, ტოროპისა და ჟიჟიცის სადგურებს შუა, დაიმსხვრა 30 დატვირთული ვაგონი საქონლის მატარებლის № 55-სა. სასიკვდილოდ დაიჭრა ვაგონების გადამბმელი.

იაპონიის პრინცი დაესწრო ყაზახთა ჯირითს. შემდეგ პრინცმა დაათვალიერა სასახლე და თოფხანა და სადამოთი წავიდა.

ბლაგოვეშჩენსკი. 9-დან 21 ივლისამდე ხოლერით ავად გახდა 161 კაცი, გარდაიცვალა 101 კაცი. მკურნალნი ვერ ასდიან ავადმყოფებს და სადეზინფექციო ნივთებიც არ არის საკმაო.

პეტერბურგი. მესამე ქვეითა დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსი გენ.-მაიორი რიდიგარი დაინიშნა სამხედრო სასანიტარო კომიტეტის საქმეთა გამგედ.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37⁵⁰ ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

Дозв. ценз. Тифлисъ, 24 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).